პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 281 (5082) | პარასკევი, 10 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

ვინც მისწრაფვის განათლების შემდგომი ზრდისაკენ ჩვენს ქვეყანაში, ვისაც უნდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება, ის ხმას მისცემს ბოლშევიკების პარტიას, ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

(საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან)

# უპარტიოებთან კომუნისტების საარჩევნო ბლოკის შესახებ

## ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა მოლოტოვის საარჩევნო ოლქის კრებაზე 8 დეკემბერს

### I. უპარტიოებთან ჩვენი ბლოკის ფესვები

ამხანაგებო, გამოაქვეყნა რა თავისი მიმართვა ამომრჩევლებისადმი, ჩვენმა პარტიამ მთლიანად გაშალა თავისი საარჩევნო დროშა. ეს დროშა მოგვიხმობს სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ, მოგვიხმობს იმისაკენ, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მხარი დავუჭიროთ როგორც კომუნისტ კანდიდატებს, ისე უპარტიო კანდიდატებს, რომლებსაც აყენებს ბოლშევიკური პარტია უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან და ინტელიგენციასთან ერთად. ეს დროშა მოგვიხმობს შევქმნათ კომუნისტების ერთსულოვანი საარჩევნო ბლოკი უპარტიო მუშებთან, უპარტიო გლეხებთან, უპარტიო მოსამსახურეებთან, უპარტიო ინტელიგენციასთან, შევქმნათ ასეთი ბლოკი კომუნისტებისა უპარტიოებთან მთელს ჩვენს ქვეყანაში. (ტაში).

ჩავატაროთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი ორგანოების არჩევნები უპარტიოებთან კომუნისტების ბლოკის, კავშირის საფუძველზე—ასეთია ჩვენი ამოცანა.

თითქოს, ეს უბრალო რამაა. მართ-[...] ის აქვს. ამიტომ გახდა შესაძლებელი ლაპარაკი კომუნისტების საარჩევნო ბლოკზე უპარტიო მუშებთან და გლეხებთან, უპარტიო მოსამსახურეებთან და ინტელიგენციასთან. ეს მონაპოვარი მით უფრო დიდია, რომ უპარტიოებთან ასეთი კავშირის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ლაპარაკი როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკაში ცალკე.

რომ მოგვემზადებინა კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო ბლოკის შექმნა ჩვენს ქვეყანაში უზენაესი საბჭოს არჩევნებისას, ჩვენ უნდა მოგვეპოვებინა **სტალინური კონსტიტუცია.** 12 დეკემბრის არჩევნები ჩატარდება ამ კონსტიტუციის, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის საფუძველზე.

რა გვესაჭიროებოდა ჩვენ იმისათვის, რომ ხელთ მიგველო ეს სტალინური კონსტიტუცია?

ამისათვის ჩვენ გვესაჭიროებოდა, უწინარეს ყოვლისა, საბჭოების ხელისუფლების მოპოვება და მისი დაცვა ყველა და ყოველგვარი თავდასხმისაგან. ჩვენ ეს წარმატებით გავაკეთეთ.

[...]



### II. ჩვენი ამოცანები საგარეო საფრთხის წინაშე

ჩვენ მძიმე პირობებში მოგვიხდა საქმის დაწყება და გაძლოლა. ჩვენ დღემდე გვიხდება მარტოდ მარტომ, კაპიტალისტური სახელმწიფოების მტრულ გარემოცვაში ვაქეთოთ სოციალიზმის მშენებლობის საქმე. ამაში მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური რესპუბლიკის მდგომარეობის თავისებურება.

[...] დონბიანობა, სწყუროდა ომისაგან შესვენება.

საბჭოთა ხელისუფლების ერთერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უკანასკნელი 16 წლის მანძილზე ჩვენი ხალხი განთავისუფლებული იყო სამხედრო შეტაკებებისაგან. (ტაში).

[...]

ჩვენი ხალხის მასებში, მაგრამ მით უფრო მეტად ცდილობს იგი, მავნებლობით, დივერსიებით, დაშინებითა და ტერორით გამოუთხაროს ძირი ჩვენს მშენებლობას. [...]

ვის, კიდევ რა დამამტკიცებელი საბუთებია აქ საჭირო?

შეხედეთ, რა მშვიდობიანად ანათებენ ჩვენი კრემლის ხუთქიმიანი ვარსკვლავები. მათი შუქი შორს და იმედიანად ანათებს. ამბობენ, რომ ეს ვარსკვლავები მოსკოვის ყველა კუთხიდან ჩანსო. ამბობენ კიდევ, რომ ისინი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან ჩანსო (ტაში).

ხოლო რა იქნება ომის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში?

ჩვენ ამაზე შეგვიძლია ვთქვათ: საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში კი თავდამსხმელი იგემებს როგორც ჩვენი რკინისებური თავდაცვის ძალას, ისე საბჭოთა ლალისფერი ვარსკვლავების შუქის ძალას, რომლებიც ანათებენ შორს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით. (ხანგრძლივი ტაში).

### III. ყველანი არჩევნებზე

ყოველივე აქედან გამოდიან ბოლშევიკები, როდესაც უპარტიოებთან საარჩევნო ბლოკის წინადადებას იძლევიან. აქედან გამოდიან ბოლშევიკები, როდესაც წინადადებას აძლევენ კომუნისტებს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მთლიანად დაუჭირონ მხარი არა მარტო პარტიულ, არამედ უპარტიო კანდიდატებსაც, [...]

[...] ბებს ჩვენ გადავაქცევთ ხანგრძლივ წარმატებებად, მთელი საამქროების, მთელი ქარხნების წარმატებებად, ჩვენი ქარხნები უკეთ და უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ, ვიდრე ყველაზე კარგი საზღვარგარეთული ქარხნები მუშაობენ. (ტაში).

ამ არჩევნებს ჩვენ ავღნიშნავთ [...]

[...] თავისი საკუთარი ძალები. მაგრამ ჰკიდებენ რა ხელს ერთმანეთს, ისინი ჯერ კიდევ ვერ შველიან თავს იმ საფრთხისაგან, რომ მათ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ. (ტაში).

ჩვენ არ გვინდა ომი,—ეს ყველამ იცის. ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ მშვიდობიანობის საქმისათ-[...]

[...] მიემართებიან. (ტაში).

უზენაესი საბჭოს არჩევნებს ჩვენ აღვნიშნავთ სტახანოვური რეკორდებით. ჩვენ გავამრავლებთ ამ რეკორდებს და დღითიდღე ვადევნებთ თვალყურს, შევისწავლით და გავავრცელებთ ამ წარმატებებს. ერთი სტახანოვური დღის წარმატე-[...]

[...] კომიტეტს — ვაშა!“ „ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს—ვაშა!“. „გაუმარჯოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს—ამხანაგ მოლოტოვს—ვაშა!“. „გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს არჩევნებში!“. „ყველანი არჩევნებზე, ამხანაგებო, ვაშა!“).

# ამხანაგ ა. ი. მიქოიანის შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

[...] ლიან ახლო ვიცნობ ამხანაგ მიქოიანს. ანასტას ივანეს-ძის მთელი ცხოვრება არის ცხოვრება უშიშარი ბოლშევიკი რევოლუციონერისა, რომელიც მუდამ სტალინთან ერთად მიდის. ამხანაგი მიქოიანი ჩვენი ხალხის ერთგული შვილია. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით [...]

ამხანაგი მიქოიანი—სთქვა მან—გენიალური სტალინის აღზრდილია, ჩვენი პარტიის ერთგული შვილია, რომელიც მთელი სულითა და გულით თავდადებულია კომუნიზმის საქმისათვის. აი რატომ არის, რომ ჩვენ ერთსულოვნად მივცემთ ხმას ამხანაგ მიქოიანს. (ტაში. შეძახილები [...]

[...] ტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

შემდეგ ამხანაგი მიქოიანი გადადის სსრ კავშირში ნაციონალური საკითხის ბოლშევიკური გადაჭრის ანალიზზე. ხაზგასმით აღნიშნავს რა დაშნაკების გამცემლური როლის ფაქტებს, დაშნაკებისა, რომლებმაც [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრება

## საბჭოთა ინტელიგენცია ერთსულოვნად დარაზმულია ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო

გუშინ, სახელმწიფო ოპერის თეატრში შედგა ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის წინასაარჩევნო კრება.

საზეიმოდ მორთული დარბაზი გაჭედილია ხალხით. კრებაზე მოვიდა 2.000-მდე კაცი — პროფესორები, მეცნიერები, ინჟინრები, მწერლები, აგრონომები, მხატვრები, ექიმები, არტისტები, სტუდენტები.

პრეზიდიუმში არიან: ამხანაგი ლ. პ. ბერია, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრები, პროფესორები: ა. ჯანელიძე, ი. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. ზავრიევი, ყიფშიძე, ნ. კეცხოველი, ალადაშვილი, ნუცუბიძე, ერისთავი, კეკელიძე, ხარაძე, არტისტები თამარ ჭავჭავაძე, გამრეკელი, სოხაძე, ლამბაშიძე, რეჟისორები მ. ჭიაურელი, შენგელაია, მხატვრები მ. თოიძე, კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, მწერლები ა. მაშაშვილი, ა. აბაშელი, გ. ლეონიძე, პედაგოგი ხუსკივაძე და სხვ.

კრება გახსნა ორდენოსანმა პროფესორმა ამხ. ა. ჯანელიძემ.

მოახლოვდა 12 დეკემბერი, — ამბობს ამხ. ჯანელიძე,—ისტორიული დღე, როდესაც ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის—სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა ქვეყნის მოქალაქენი აირჩევენ უზენაეს საბჭოს. ამომრჩეველთა მილიონები ამ დღეს თავისი მოვალეობის სრული შეგნებით მივლენ საარჩევნო ყუთებთან.

უზენაეს საბჭოში ჩვენ ავირჩევთ პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულებს. და, როდესაც საარჩევნო ყუთში ბიულეტენს ჩავაგდებთ, ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ხმას ვაძლევთ იმ ბრძნულ პოლიტიკას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ბედნიერი ცხოვრება მისცა, რომ ხმას ვაძლევთ ლენინ-სტალინის სახელოვან პარტიას (მქუხარე ტაში. ისმის შეძახილი — „გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს და ბელადს ამხანაგ სტალინს!" ვაშა!).

საბჭოთა საქართველოს ინტელიგენცია განსაკუთრებული ენტუზიაზმითა და აღფრთოვანებით ხვდება მომავალ არჩევნებს. იგი ამას დაამტკიცებს 12 დეკემბერს საარჩევნო ყუთებთან ერთსულოვნად მისვლით და კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს პროფესორ ალადაშვილს.

— საბჭოთა კავშირმა, — იწყებს პროფესორი ალადაშვილი, — განახორციელა ის იდეები, რომლებზედაც ოცნებობდა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, მან ჩაუყარა საძირკველი და აგო სოციალისტური საზოგადოება. აყვავდა და აღორძინდა საბჭოთა საქართველო. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია საქართველო, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგში ჩადგა.

12 დეკემბერს ჩვენ ხმას მივცემთ იმას ვინც თავის სიცოცხლესაც კი არ დაზოგავს ლენინ-სტალინის პარტიისათვის. მთელი საბჭოთა ხალხის პირველი დეპუტატი იქნება დიადი სოციალისტური კონსტიტუციის შემოქმედი, ბელადი, მეგობარი და მასწავლებელი დიდი სტალინი. (მქუხარე ტაში, ხმები: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს — ამხანაგ სტალინს").

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით, — ამბობს შემდეგ ამხ. ალადაშვილი, — დიდი სტალინის ერთგული მოწაფის და თანამებრძოლის ამხანაგ ლ. ბერიას კანდიდატურას, რომელსაც ერთსულოვნად მივცემთ ჩვენს ხმას. (მქუხარე ტაში).

— დიდი სტალინის ეპოქა ჩვენთვის, ხელოვნების მსახურთათვის უბედნიერესი ხანაა. — აცხადებს შემდეგი ორატორი ამხ. შ. ლამბაშიძე, — ხელისუფლებამ ჩვენ შეგვიქმნა ყოველგვარი პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. ყოველი ჩვენთაგანი ზიზღით იხსენებს ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელ დროს, როდესაც ხელოვნების მსახურთ არავითარი ყურადღება არ ექცეოდათ.

ქართული თეატრის უსიხარულო დღეები მზიანმა ოქტომბერმა ნამდვილი ოქროს ხანით შესცვალა. უკანასკნელ წლებში ქართული თეატრი, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, ერთერთ მოწინავე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში. შეუდარებლად გაუმჯობესდა ქართველი მსახიობის მატერიალური პირობებიც.

ჩვენ ერთსულოვნად ხმას მივცემთ ხალხის მიერ დასახელებულ კანდიდატებს. მაშ სხვას ვის უნდა ჩავაბაროთ ჩვენი სახელმწიფოს გამგებლობა თუ არ იმ პარტიისათვის თავდადებულ ადამიანებს, რომელმაც მოგვანიჭა ბედნიერი და სამური ცხოვრება. 12 დეკემბერს საარჩევნო ყუთებთან ჩვენ, პარტიული და უპარტიო საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოთა ქვეყნის ღირსეული შვილებისათვის ხმის მიცემით დავამტკიცებთ, რომ შემჭიდროებული ვართ დიდი სტალინის პარტიის გარშემო, და მზად ვართ ჩვენი ცოდნა, გამოცდილება და უნარი მთლიანად შევწიროთ მის საქმეს. ჩემი ვაშა კომუნისტურ პარტიას და მის გენიალურ ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს ბრძენ სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ქართველი ხალხის პირველ კანდიდატს უზენაეს საბჭოში, დიდი სტალინის ღირსეულ მოწაფეს ამხანაგ ლავრენტი ბერიას. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).

კრება ტაშით შეხვდა პოეტ ა. აბაშელს, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი ლექსი.

ტრიბუნაზეა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

— 12 დეკემბერი, — ამბობს პროფესორი ჯავახიშვილი, — ისტორიული დღეა. მე, როგორც ისტორიკოსს, ბუნებრივია, მევალება მოვიგონო წარსული და წარსულთან შედარებით შევაფასო ის მონაპოვარი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

ძველ დროში არა თუ დედაენაზე სწავლა, დედაენაზე საუბარიც კი შეიძლებელი იყო საჯაროდ. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ მოგვანიჭა უდიდესი უფლებები, რომელიც ადამიანის ცხოვრების სამკაულს შეადგენს.

ცარიზმის დროს ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე ოცნება შეუძლებელი იყო. ახლა კი ჩვენ მრავალი უმაღლესი სასწავლებელი მოგვეპოვება როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში.

საბჭოთა ხელისუფლების წყალობით ჩვენ გვაქვს საქართველოს დიდი სახელმწიფო მუზეუმი. შეიქმნა ხელოვნებისათვის მეტეხის მუზეუმი, დაარსებულია შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმი და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის მტკიცე მიმართულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ წარსულის კულტურის დაუფლების საქმეს მისცა. ამის დამამტკიცებელი მრავალი მაგალითი გვაქვს და ყველაზე უკეთესი მაგალითია ის, რომ ეწყობა ჩვენი საამაყო, გენიოსი მგოსნის შოთა რუსთაველის დღესასწაული, მსოფლიო დღესასწაულად ქცეული. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მომხდარიყო (მხურვალე ტაში).

ქართველი ხალხის ისტორიული ძეგლები: ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა, მწერლობისა წინათ სრულებით უპატრონოდ იყო მიტოვებული. ამჟამად ხდება ის, რაც არასოდეს არ მომხდარა: 5 მილიონი მანეთია გადადებული მარტო ქართული კულტურის ძეგლების აღდგენისათვის (ტაში).

აღარ შევაწუხებთ იმ მრავალი მონაპოვრის ჩამოთვლით, რომელიც ჩვენ გვაქვს და რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამ მონაპოვრების გამო საბჭოთა ხალხმა უზენაესი საბჭოს პირველ კანდიდატად წამოაყენა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დიდი იოსებ სტალინი (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან), რომლის ბრძნულმა პოლიტიკამ, რომლის გენიალურმა შორსმჭვრეტელობამ მსოფლიო და სამოქალაქო ომისაგან განადგურებული ქვეყანა აღადგინა და კულტურული ცხოვრება შეუქმნა (ტაში). სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოდან პირველ კანდიდატად წამოყენებულია ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომლის მზრუნველობით და ხელმძღვანელობით ხორციელდება დიდი სოციალისტური მშენებლობა საქართველოში.

ცხადი არის, რომ საბჭოთა ინტელიგენცია, ერთსულოვნად ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს, რომელთა კანდიდატები წამოყენებულია უზენაეს საბჭოში ხალხის მიერ (ტაში).

მე-30 სკოლის პედაგოგი ამხ. სარიშვილი ამბობს:

— მასწავლებელი სსრ კავშირში აყვანილია არნახულ სიმაღლეზე, როგორც არცერთ სხვა ქვეყანაში. საბჭოთა მასწავლებელი გარშემორტყმულია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით. ჩვენ, პედაგოგებს, შექმნილი გვაქვს ყველა პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ამხ. სარიშვილი აცხადებს:

— ჩვენს ხმებს მივცემთ სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ შვილებს, რომლებიც წამოყენებული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის მიერ, ჩვენ ხმას მივცემთ ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკას, ჩვენს საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს.

— ჩვენ, საბჭოთა საქართველოს ინჟინერ - ტექნიკოსი მუშაკები, — ამბობს ინჟინერი ამხ. გარიშვილი, — აღზრდილნი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიერ, უფრო მჭიდროდ შემოვკრებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გავაათკეცებთ ბოლშევიკურ შეტევითს სიფხიზლეს, ბოლომდე აღმოვფხვრით მტრების საზიზღარ ნაძირალებს ტრანსპორტზე.

ამხ. გარიშვილი ლაპარაკობს იმ ერთსულოვნებაზე, რომლითაც ამომრჩევლები ხმას მისცემენ ქართველი ხალხის საყვარელ ხელმძღვანელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას. ამ სიტყვებს ყველა დამსწრე მხურვალე ტაშით ეგებება.

— საბჭოთა ამომრჩეველი, — აცხადებს ამხ. კეცხოველი, — განსაკუთრებული გრძნობითა და სიყვარულით მოჰკიდებს ხელს ბიულეტენს, რომელზედაც აღნიშნული იქნება უზენაესი საბჭოს კანდიდატები, რადგან ამ ბიულეტენით ის ხმას აძლევს იმ დიდ საქმეს, რომელიც განახორციელა ბოლშევიკურმა პარტიამ, უსაყვარლესი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით (მქუხარე ტაში).

მე მახსოვს ჩვენი ქვეყანა მეფის კოლონიად ქცეული, უუფლებო, ლეჩაქახდილი და მგლოვიარე. დღეს ვხედავ ამავე ქვეყანას პირმცინარეს, თავისუფალს, თანასწორს და ბედნიერს 11 მოძმე რესპუბლიკათა შორის (მქუხარე ტაში).

ვინ გარდაქმნა ეს ბუნება და ჩააყენა ხალხის სამსახურში, ვინ მისცა ბედნიერი ცხოვრება ამ ხალხს? ბოლშევიკების დიდმა პარტიამ და ამხანაგი სტალინის გენიალურმა საქმიანობამ.

ჩვენმა ინტელიგენციამ მხოლოდ სოციალისტურ სამშობლოში ჰპოვა თავისი თავი. დღეს ის მშენებელია სოციალისტური სამშობლოსი.

ლენინ-სტალინის პარტიას, მის საქმეს არა თუ ხმას, საჭიროების შემთხვევაში, სიცოცხლესაც მივცემთ წარმოუდგენლად. ჩვენ სიხარულით მოველით 12 დეკემბერს, რომ ამ დღეს ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ ჩვენი თავდადება ბოლშევიკური პარტიისადმი, ჩვენი ერთგულება ჩვენი სიყვარული დიდი სტალინისადმი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ მხურვალე სიტყვით გამოვიდა პროფესორი შ. ნუცუბიძე.

„ბურჟუაზიულ ქვეყნებში, — ამბობს იგი, — წინასაარჩევნო აგიტაცია დაკავშირებულია მრავალ უსაფუძვლო დაპირებასთან. საბჭოთა საარჩევნო აგიტაცია კი დამყარებულია იმაზე, რაც გაკეთებულია, რაც მიღწეულია, რაც სტალინურ კონსტიტუციაშია ჩაწერილი, როგორც მთელი ჩვენი კეთილდღეობის საფუძველი. ეს არის ერთი ძირითადი განსხვავება. მეორე—ძირითადი განსხვავება არის ის, რომ იქ ერთმანეთს ებრძვიან სხვადასხვა პარტიები, სხვადასხვა ფერის დროშები. ჩვენში კი საბჭოთა ქვეყნის დროშას ერთი ფერი აქვს—წითელი ფერი და ამ დროშის ქვეშ დარაზმულნი არიან სოციალისტური ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხები და საბჭოთა ინტელიგენცია".

ამხ. ნუცუბიძე მოუწოდებს საბჭოთა მშრომელ ინტელიგენციას ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. მისალმების პროექტი წაიკითხა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა ორდენოსანმა თამარ ჭავჭავაძემ.

მისალმების უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ოვაციამ დაჰფარა. მთელი დარბაზი ერთსულოვნად, ფეხზე ამდგარი, აღტაცებით მიესალმება ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს**. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე: **„გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას და მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!", „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს დიად რუს ხალხს!", „ვაშა!" „ურა!", „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს", „გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას და მის რკინის სახკომს ამხანაგ ვოროშილოვს", „გაუმარჯოს შინსახკომის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს". ოვაცია 15 წუთზე მეტს გრძელდება. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს".**

პროლეტარული ჰიმნის მძლავრი გუგუნი უერთდება ახალ მქუხარე ოვაციას ხალხთა გენიალური ბელადის, სოციალისტური კონსტიტუციის შემოქმედის დიდი სტალინის პატივსაცემად.

## ამხანაგ ლავრენტი ბერიას სიტყვა



**(დარბაზი ამხანაგ ბერიას მქუხარე ოვაციით ხვდება. ადგილებიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა დიდ სტალინს! „გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს!").**

ამხანაგებო!

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში ინტელიგენცია დიდ როლს თამაშობდა.

არ ყოფილა არცერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც თავისი საკუთარი ინტელიგენცია არა ჰყოლოდეს.

მარქსიზმმა გამოამჟღავნა და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდა განეხილათ ინტელიგენცია, როგორც განსაკუთრებული ზეკლასობრივი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ვითომდაც მოწოდებული არიან ემსახურონ მთელი ხალხის ინტერესებს, კლასების განურჩევლად.

ჩვენში ძველი რევოლუციამდელი ინტელიგენციის ძირითადი მასა ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ერთგულად იცავდა თავის მეპატრონეთა ინტერესებს. ძველი ინტელიგენციის კადრების დიდი უმრავლესობა გაბატონებული კლასებისა და წოდებების წარმომადგენელთაგან შედგებოდა.

ასეა ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში. საერთო კრიზისისა და კაპიტალიზმის ლპობის პირობებში ფაშისტებს არ შეუძლიათ შეურიგდნენ არა მარტო მარქსიზმს, არამედ ბურჟუაზიული მეცნიერების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც თუნდაც ოდნავ იჩენენ მიდრეკილებას დაიცვან ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ტრადიციები. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შორისაც ბევრმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ფაშისტური გერმანიიდან. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი 20 წლის მანძილზე,—ამ მეტად მოკლე ისტორიულ ვადაში,—ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. ძირითადად უკვე აგებულია სოციალისტური საზოგადოება. იარაღებისა და საწარმოო - საშუალებათა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება საბჭოთა საზოგადოების ურყევ და განუყოფელად გაბატონებულ საფუძველს წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებათა ბაზაზე ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც.

ჩვენში გაჩნდა სრულიად ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ყველა თავისი ფესვებით მტკიცედ არის დაკავშირებული მუშათა კლასსა და გლეხობასთან.

ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შედეგად, რამაც გააძლიერა ხალხის უფართოესი მასების აქტივობა და შემოქმედებითი ენტუზიაზმი, ძველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის მსოფლმხედველობაში გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა და იგი პატიოსნად დადგა სოციალიზმის მხარეზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა მძლავრი ქსელი დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებშიც, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემის პირობებში, უფასო განათლებას იღებს მშრომელთა შვილების უდიდესი რაოდენობა.

ამჟამად, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად განუზომლად გაზრდილი საბჭოთა ინტელიგენციის 80—90 პროცენტს მუშათა კლასიდან, გლეხობიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან გამოსულნი შეადგენენ.

შეიცვალა ინტელიგენციის საქმიანობის თვით ხასიათიც. „წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერცერთ ქვეყანაში ვერ იპოვით". **(სტალინი).**

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა ყველა პირობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარებისათვის. მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა წინაშე გადაშლილია შემოქმედებითი საქმიანობის უფართოესი ასპარეზი.

საბჭოთა ინტელიგენცია გარშემორტყმულია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მთელი ხალხის სიყვარულით.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენში.

როგორც ხედავთ, ჩვენი სამშობლოს ინტელიგენცია ხალხის, პარტიისა და მთავრობის მიერ აყვანილია ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც იგი წინათ, ბურჟუაზიული წყობილების დროს, არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ძველ ქართველ ინტელიგენციას ახასიათებდა ყველა ის თვისება, რაც სჩვევია ბურჟუაზიულ - მემამულურ ინტელიგენციას და რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ძველ პოზიციებზე რჩებოდა. გულმოდგინედ ინარჩუნებდა რა ძველ მემამულურ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ ტრადიციებს და იღებდა რა ორიენტაციას კაპიტალისტურ დასავლეთზე, იგი არა მარტო მიჰყვებოდა ანტისაბჭოთა პარტიებს — მენშევიკებს, ნაციონალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და სხვებს, არამედ შეადგენდა ამ პარტიების ძირითად ხელმძღვანელ ბირთვს და აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

1924 წელს მათ შესძლეს ქართველი ინტელიგენციის ერთგვარი ნაწილისათვის, განადგურებული თავადაზნაურობისა, კულაკობისა და ოფიცრობის ნარჩენებთან ერთად, მონაწილეობა მიეღებინებინათ სისხლიან ავანტიურაში, რომელიც როგორც ცნობილია, მის დამწყებთა სრული განადგურებით დასრულდა.

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები. მაგრამ ხალხის საზიზღარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა. ცდილობენ რა თავისი აგენტების საშუალებით თავიანთ მოღალატურ პადეში მოაქციონ ზოგიერთნი ქართველი ინტელიგენციიდან, რომლის ძირითადი მასაც უკვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ფაშისტური ოხრანკების აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები გ. ელიავა, გრ. წერეთელი, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ.

ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ - მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამვლას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოეწვიათ მასობრივი დაავადება მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა ფსკერზე მოექცნენ?

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს. **(ხანგძლივი ტაში)** მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ.

ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ჩვენსკენ საზღვარგარეთიდან გამოაწვდიან ბინძურ, სისხლიან ხელებს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად უნდა იბრძოდეს პარტიისა და ხალხის ყველა მტრების წინააღმდეგ. (ტაში).

ამხანაგებო! მე უკვე ვთქვი, რომ ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ინტელიგენცია არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის მაგალითის მიხედვით.

თქვენ კარგად იცით, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება.

ქართველი მენშევიკების—ხალხის ინტერესების ამ საზიზღარი გამცემლების — ბატონობის პერიოდმა არა თუ არ შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, არამედ საბოლოოდ გაანადგურა ის მცირე მემკვიდრეობაც, რომელიც მეფის თვითმპყრობელობისაგან იყო მიღებული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, იწყება ნაციონალური კულტურის აყვავება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ერთისამად გაიზარდა საშუალო და დაწყებითი სკოლების რაოდენობა, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ერთიოთხად. მენშევიკების დროს გაიხსნა და ძლივსძლივობით ბოგინობდა თბილისის უნივერსიტეტი — საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უმთავრესად მოსწავლეთაგან შემოსული ფულით არსებობდა, რამაც განსაზღვრა სტუდენტთა თავადაზნაურულ - მემამულური, ბურჟუაზიული შემადგენლობა.

ამჟამად კი საქართველოში არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი —მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შვილები.

ფართოდ გაიშალა აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი, მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში ყოველწლიურად ათეულ მილიონ მანეთობით იხარჯება.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა, ამჟამად საქართველოში გვყავს სამასზე მეტი პროფესორი, 700-მდე დოცენტი და ათასამდე სხვა მეცნიერი მუშაკი. (ტაში).

ფართოდ არის ცნობილი ჩვენი მეცნიერების - პროფესორების **ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, ალექსანდრე თვალჭრელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, კონსტანტინე ერისთავის, ალექსანდრე მაჭავარიანის, გიორგი მუხაძის, ალადაშვილის** და სხვათა სახელები (მქუხარე ტაში).

აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, გაიზარდნენ საბჭოთა მწერლებისა და პოეტების კადრები. საქართველოს მშრომელებისათვის კარგად ცნობილია: **შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, ა. მაშაშვილის. გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის. დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. აბაშელის** და სხვათა სახელები. (ტაში).

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი თეატრებით და აქტიორ-რეჟისორთა კადრებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიზარდნენ. არტისტების, რეჟისორებისა და კომპოზიტორების: **ა. ხორავას, ა. ვასაძის, ლამბაშიძის, თ. ჭავჭავაძის, წუწუნავას, ამირანაშვილის, სოხაძის, გამრეკელის, ქუმსიაშვილის, ანდღულაძის, არაყიშვილის, ფოცხვერაშვილის, ტუსკიას, კილაძის** და სხვ. სახელები დიდ პოპულარობით სარგებლობენ. (ტაში).

გაიზარდნენ და ფართოდ ცნობილი გახდნენ ქართული კინემატოგრაფიის რეჟისორები და აქტიორები: **მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, ნ. შენგელაია, ნ. ვაჩნაძე, გელოვანი, ჟორჟოლიანი** და სხვ. (ტაში).

გაიზარდნენ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა კადრები. **ვეფხვაძე, უჩა ჯაფარიძე, მ. თოიძე, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, კროტკოვი, გამრეკელი, სიდამონ-ერისთავი, ი. ნიკოლაძე, თავაძე, კაკაბაძე, მერაბიშვილი** და სხვ. მშრომელთათვის ცნობილი არიან თავიანთი მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებით (ტაში).

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა მრავალი ათეული და ასეული სხვა ახალგაზრდა მეცნიერები, ინჟინრები, გეოლოგები, ელექტრიკოსები, ჰიდროტექნიკოსები, არქიტექტორები, აგრონომები, ექიმები მწერლები, არტისტები, მხატვრები, მოქანდაკეები, რომლებიც გაიზარდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში და რომლებიც ეწევიან ხელმძღვანელ მუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პათოსი აღფრთოვანებს ინტელიგენციის არა მარტო ახალგაზრდა კადრებს, არამედ მოხუცებსაც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაახალგაზრდავდნენ და ახალი შემოქმედებითი ძალები მოიცეს. (ტაში).

ნაციონალური კულტურის ასეთი აყვავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

ქართული კულტურის აყვავება სსრ კავშირის ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურების აყვავების ერთერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

დიდი რუსი ხალხი სწავლობს და სიყვარულით უფრთხილდება წინათ ჩაგრულ ხალხთა კულტურულ სიმდიდრეებსა და მიღწევებს, ყოველმხრივ დახმარებას უწევს ამ ხალხებს მათი ნაციონალური კულტურის განვითარებაში. (ტაში).

ქართული ოპერები იდგმება მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების თეატრებში, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ წითელი დედაქალაქის მშრომელები. ტრეტიაკოვის გალერიაში მოწყობილია ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. მოსკოვში, ლენინგრადში და რუსეთის სხვა ქალაქებში დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემის დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენც ჩვენი მხრივ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი რუსული კულტურა და რუსული ენა (ტაში). ეს კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ნაციონალურ კულტურას, გააფართოვებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა გონებრივ ჰორიზონტს.

ამხანაგებო! მხოლოდ სამი დღე გვაშორებს იმ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხი აირჩევს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. (ტაში).

უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს.

ჩვენს გამარჯვებებს უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნულ ხელმძღვანელობას **(მქუხარე ოვაცია. დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, „ურა", ვაშა—ამხანაგ სტალინს!", მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის!".**

**ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს", ოვაცია ახლდება ახალი ძალით. ხელახლა გაისმის შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად).**

პარტიისა და მთავრობის მიერ აღზრდილი, მთელი ხალხის სიყვარულითა და მზრუნველობით გარშემორტყმული საბჭოთა ინტელიგენცია სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია. (ტაში). საბჭოთა ინტელიგენციის ცოტა წარმომადგენლები როდია წამოყენებული პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდა სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი—ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და ასახულია მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობები და განწყობილება.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ მშრომელამდე დავიყვანოთ უდიდესი ისტორიული აზრი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვისა ყველა ამომრჩევლისადმი. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში საბჭოთა ინტელიგენციას საპატიო როლი ეკუთვნის.

მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც ერთი კაცი, განუხრელად განახორციელებს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ერთსულოვნად მისცემს ხმას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის დიად პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს! **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა", „ურა").**

გაუმარჯოს მძლავრ და უძლეველ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა", „გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს").**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

**(მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. მთელი დარბაზი აღტაცებით მიესალმება ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოქმედს!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!" „გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ ბერიას!").**

# თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

## წარმოთქმული 1937 წ. 8 დეკემბერს

### მინსკის გარნიზონის სამხედრო ნაწილების და მინსკის რაიონის კოლმეურნეების მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სტალინური კონსტიტუციის წლისთავს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებს



ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, მეომრებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, მათო ცოლებო, დიდებო და დებო, მინსკის საარჩევნო ოლქის ამხანაგო ამომრჩევლებო, მოგესალმებით თქვენ და უდიდეს მადლობას მოგიძღვნით იმ ნდობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩემს მიმართ, დამასახელეთ რა თქვენს კანდიდატად უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ერთი თვის წინათ საბჭოთა კავშირმა იზეიმა თავისი ისტორიის მე-20 წლისთავი. სამი დღის წინათ საბჭოთა ხალხმა აღნიშნა სტალინური კონსტიტუციის წლისთავი. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ ყველანი, საბჭოების ადამიანები, როგორც ერთი კაცი, გავსწევთ საარჩევნო ყუთებისაკენ და სადღესასწაულო განწყობილებით ავირჩევთ ჩვენს უზენაეს საბჭოს.

შეიძლება გარედან კაცს მოეჩვენოს, რომ ჩვენ დიდ ყურადღებასა და დროს ვუთმობთ დღესასწაულებს. ნამდვილად კი ყოველივე ეს სხვანაირად გამოიყურება. ჩვენ ჩვენს დღესასწაულებსაც ისე ვუცქერით, როგორც დიად სოციალისტურ საქმეს.

რა არის საბჭოთა კავშირის მე-20 წლისთავი? ეს არის ჩვენი ქვეყნის მშრომელების დიად გამარჯვებათა შედეგი. ეს არის ნიშანსვეტი ბრძოლისა და ჩვენი გამარჯვებათა ისტორიულ გზაზე. ეს არის ჩვენი ლენინ-სტალინის პარტიის იდეალების გამარჯვების ნამდვილი დღესასწაული.

რა არის 5 დეკემბრის დღესასწაული? ეს არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის თარიღი. საბჭოთა ქვეყანამ აღნიშნა თავისი ჭეშმარიტად დემოკრატიული, ნამდვილად სოციალისტური კონსტიტუციის პირველი წლისთავი.

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც საბჭოების ხალხნი სტალინური კონსტიტუციით ცხოვრობენ. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ ავირჩევთ უზენაეს საბჭოს ამ კონსტიტუციის საფუძველზე.

ჩვენი ქვეყანა, ის უძლეველია, ლენინ-სტალინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით, ახლა კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯებით, კიდევ უფრო მტკიცედ გასწევს წინ სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. საბჭოთა ხალხი, აღნიშნავს რა თავისი შესანიშნავი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, კანონიერად უწოდებს მათ თავის დღესასწაულებს. დიახ, ეს ჩვენი დღესასწაულებია, ჩვენ თვითონ შევქმენით ისინი, ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამ დღესასწაულებით.

ამხანაგებო, სტალინური კონსტიტუცია არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი არა მარტო ჩვენთვის, იგი წარმოადგენს უდიდეს მნიშვნელობას მთელი ქვეყნიერების მშრომელთა მილიონებისათვის. სტალინური კონსტიტუცია ყველა მშრომელისა, ტვირთმზიდისა და ჩაგრულისათვის იქნება გზის მანათობელი ვარსკვლავი, მოქუშა მათს ბრძოლაში ცხოვრების უფლებისათვის, თავისი განთავისუფლებისათვის.

ჩვენს კონსტიტუციას ვუყურებთ, როგორც დოკუმენტს, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, რომლის საფუძველზედაც აშენებენ თავის ცხოვრებას საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელები.

ჩვენი სტალინური კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა, საბოლოოდ დააკანონა სოციალიზმის მონაპოვარნი, შეიცავს ისეთ შესანიშნავ პარაგრაფებს, რომლებიც მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს შეუძლიათ ნამდვილად იგრძნონ, გაიგონ. ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა გარანტირებული შრომის უფლება სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის. საბჭოთა ადამიანისათვის ეს არის მხოლოდ იმის დადასტურება, რაც არსებობს. ეს უფლება განმტკიცდა ყოფაცხოვრებაში. ჩვენმა ქვეყანამ არ იცის, რა არის უმუშევრობა. ჩვენ მუშახელი გვაკლია. სამაგიეროდ რა მწვავედ გრძნობენ ჩვენი კონსტიტუციის ამ პარაგრაფის მთელ უდიდეს სოციალისტურ სიღრმეს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მილიონობით და მილიონობით უმუშევრები.

ანდა ჩვენი კონსტიტუციის მეორე, ასევე შესანიშნავი პუნქტი, როგორიცაა ქალისათვის თანასწორი უფლებების მინიჭება მამაკაცის თანაბრად სამეურნეო, კულტურული და სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა კავშირის ქალი ამ უფლებით სარგებლობს სავსებით, და მას უკვე ველურობად ეჩვენება, თუ როგორ შეიძლება იგი, ადამიანი, შეზღუდული იყოს უფლებრივად, იყოს დამატება, დაბალი კატეგორიის ადამიანი. ეს მართლაც ველურობაა. მაგრამ ეს ველურობა არსებობს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში. კაპიტალიზმის ქვეყნების ქალი, განსაკუთრებით შრომის ქალი, მთელი სიმძაფრით იგრძნობს სტალინური კონსტიტუციის ძალასა და მნიშვნელობას, რომელმაც სამუდამოდ განამტკიცა საბჭოთა ქალის თანასწორუფლებიანობა.

ან, დასასრულ, სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, განმტკიცებული ჩვენი კონსტიტუციით,—განა ეს კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება არაა? და განა ეს უფლება არ შევიდა უკვე საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში, განა ჩვენ ახლა ამაზე ვფიქრობთ! არა, ჩვენ სოციალიზმის ამ უდიდესი სიკეთით ისევე უბრალოდ ვსარგებლობთ, როგორც მზის სინათლისა და ჰაერით ვსარგებლობთ. მაგრამ ჩვენი კონსტიტუციის ეს პუნქტი მტკიცედ ეხსომებათ კაპიტალისტური ქვეყნების დაჩაგრულ, არათანასწორუფლებიან ხალხებს, იყოს, [illegible] ცა. თქვენ ყოველივე ამით სარგებლობთ, ამით ცხოვრობთ, სხვა, უუფლებო, მძიმე და მწარე ცხოვრებას კი, საბედნიეროდ, არც იცნობდით. მაგრამ აი ჩვენ, მოხუცებს, გვახსოვს წყეული წარსული, ჩვენ მას ძალიან კარგად ვიცნობთ, და ზოგჯერ ახლაც კი გაგვეღვიძება ხოლმე შუბლზე ჭირის ოფლით.

მეფე, მემამულე, ურიადნიკი, ხუცესი, კულაკი, კაპიტალისტი, ჟანდარმი—ეს ახალგაზრდა ადამიანებისათვის არც ისე ადვილად წარმოსადგენი კატეგორიებია. ჩვენი ახალგაზრდობის მილიონებისათვის ეს განყენებული ცნებაა. საბჭოთა კავშირის ხნიერი ადამიანებისათვის ეს სავსებით რეალურია. მართალია, უკვე გაწვლილი, მაგრამ საშინელი, კოშმარული. ამხანაგებო, როდესაც დაკვირვებით კითხულობ სტალინური კონსტიტუციის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის უზრუნველყოფილია შრომის უფლება, როდესაც ამ ოქროს სიტყვების შინაარსს უკვირდები,—რაღაც განსაკუთრებული სიხარული გიპყრობს და გულს გეშვება, გრძნობ, თუ რა დიდი ამოცანა გადასჭრა ლენინ-სტალინის პარტიამ, რა მწვერვალებია უკვე დაპყრობილი სოციალიზმის მიერ. არასოდეს არ იყო უმუშევარი, არ ფიქრობდე ხვალინდელ დღეზე, არ ჰკანკალებდე, რომ მეპატრონე ან მისი ნოქარი ყოველ წუთს გაგაგდებს ქუჩაში, — თქვენ გესმით, გრძნობთ, რას ნიშნავს ეს, ამხანაგებო!

ეს ნიშნავს, რომ სოციალიზმი უკვე რეალობაა, რომ თქვენ, ჩვენი ცვლა, ჩვენი ახალგაზრდობა, უკვე აღიზარდეთ სოციალიზმის დროს და თქვენთვის ძნელი გასაგებია იმ მშრომელი ადამიანის მთელი საშინელება, რომელიც ჰყიდის რა თავის შრომას გროშებად, არასოდეს არ არის დარწმუნებული ხვალინდელ დღეში.

შეხედეთ, რა ხდება იქ—დასავლეთში, კაპიტალისტებთან: უმუშევრობა მუშათა კლასის მუდმივი თანამგზავრია და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული — შიმშილი, ავადმყოფობანი, პროსტიტუცია, თვითმკვლელობანი და სხვა. ფაბრიკებისა და ქარხნების ჭიშკართან მუშები ჯგუფ-ჯგუფად ელიან, როგორც ცის მანანას სამუშაოს, ისინი ებღაუჭებიან სულ მცირე შესაძლებლობასაც კი მიჰყიდონ თავისი ძალღონე კაპიტალისტს.

ჩვენ ყველას გვახსოვს, თუ რას წარმოადგენდა კაპიტალიზმი უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე. უდიდეს კრიზისს, რამაც მოიცვა კაპიტალიზმის ყველა ქვეყანა უკლებლივ, დიდხანს ჰყავდა ისინი მომწყვდეული თავის რკინის კლანჭებში. უმუშევრობამ, შიმშილობამ, სილატაკემ, თვითმკვლელობამ მუშებს შორის ამ წლების განმავლობაში განსაკუთრებით მაღალ პროცენტს მიაღწია. მძიმე არაჰკაცური გამომცლელი ცხოვრება ჰქონდა კაპიტალისტური მსოფლიოს მუშათა კლასს.

ორიოდე წლის წინათ კაპიტალიზმმა თითქოს იწყო ამ საშინელი კრიზისიდან ამოფოფხვა. ცოტათი შემცირდა უმუშევრობა, კი არ გამქრალა, არამედ მხოლოდ ცოტათი შემცირდა. მაგრამ აი კვლავ გაჩნდა მრისხანე სიმპტომები მოახლოებული ეკონომიური კრიზისისა ამერიკაში, მაშასადამე, უნდა მოველოდეთ, რომ იგი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებზედაც გავრცელდება. ეს კი, ყოველივე დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ნიშნავს უწინარეს ყოვლისა უმუშევრობის უდიდეს ზრდას, დამშეულ ქალთა და ბავშვთა ცრემლის ახალ მდინარეებს, ახალ-ახალ საშინელ უბედურებას მუშათა კლასისათვის. არაფერი ეს, არაფერი ამის მსგავსი ჩვენში—გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში—არ არის და არც შეიძლება [illegible] მძღვანელობით ჩვენ დავამარცხეთ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობითვე დავამკვიდრეთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და ვანვითარებთ მას. (მქუხარე ტაში).

საბჭოების ქვეყანა ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელშიაც ყველა მოქალაქენი, სადაც უნდა მუშაობდნენ ისინი, გარდა ხალხის მტრებისა, რა თქმა უნდა, გრძნობენ შრომის სიხარულს, შემოქმედების სიხარულს. რამდენი ფაბრიკა და ქარხანა, სკოლა და კლუბი, სახლი და ყოველგვარი სხვა საუცხოო და დიდებული ნაგებობაა შექმნილი ჩვენი დროის განმავლობაში! რა გიგანტურად გაიშალა ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, რა სულ სხვადასხვა დანიშნულების შესანიშნავ მანქანებს ამზადებენ ჩვენი ქარხნები! ჩვენ მთლიანად, საკუთარი საშუალებებით ვაიარაღებთ ჩვენ სახელოვან მუშურ - გლეხურ წითელ არმიას. რა უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ ცოდნის ყველა დარგში! რა შორს წავედით ჩვენ კულტურის დარგში, როგორ გაიზარდა, როგორ შეიცვალა საბჭოთა ადამიანი! სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდესი წარმატებანი ჩვენს მტრებს პირდაპირ პანიკაში აგდებენ.

ამა წლის 7 მილიარდი ფუთი პურის მოსავალი—ეს ისეთი ფაქტია, რომელიც კი არ ლაპარაკობს, არამედ მთელი მსოფლიოს გასაგონად ღაღადებს ჩვენს დიად და სახელოვან გამარჯვებებზე, საკოლმეურნეო, სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდეს მონაპოვრებზე. შეიცვალა, სხვანაირი გახდა კოლმეურნე-გლეხი. ახლა უკვე არ არის საჭიროება ვუმტკიცოთ გლეხობას კოლექტიური მეურნეობის უპირატესობანი ერთპიროვნულთან შედარებით, ეს განვლილი სტადიაა. ახლა გლეხობას თავისი უდიდესი მასით პირადი, უკვე დიდი გამოცდილებით, მშვენივრად აქვს შემოწმებული საკოლმეურნეო სისტემა და მტკიცედ იცავს მას. კოლმეურნეებმა ჩინებულად იციან, რომ კოლმეურნეობა—ეს არის წინსვლა უკეთესი, შეძლებული, ნათელი, კულტურული ცხოვრებისაკენ. მათ ჩინებულად ესმით, რომ მხოლოდ კოლექტიურ შრომაში რთული და მრავალფეროვანი მანქანების საშუალებით, აიძულებენ მიწას იყოს უხვი, მუდამ და ბევრი მოსავალი გვაძლიოს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება განუწყვეტლივ ვიაროთ წინ ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

ამხანაგებო! დიდ სტალინს ჩვენ არაერთხელ გაუფრთხილებივართ, რომ ჩვენ ყოველი მხრიდან გარემოცული ვართ კაპიტალისტური ქვეყნებით, და ამიტომ უაღრესად ფხიზლად უნდა ვიყოთ. ეს უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ დავივიწყოთ. ჩვენი ქვეყანა ახლაც, ისე როგორც წინათ, მშვიდობიანობის სადარაჯოზე დგას, მაგრამ ჩვენ სხვებს თავდებად ვერ დავუდგებით. თქვენ იცით, თუ როგორ იოლად იწყება ახლა ომები და როგორ მძიმედ მთავრდება ისინი იმათთვის, ვინც სუსტია, ვინც დროზე არ მომზადებულა, ვისაც თავდაცვის ზომები არ მიუღია. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ქვეყნიერებაზე არსებობდა დამოუკიდებელი ქვეყანა, აბისინიად წოდებული, რომელსაც თავისი მეფეც კი ჰყავდა? სად არის იგი ახლა? იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარ არსებობს. იგი დაიპყრეს, მოსპეს. ხოლო რა ხდება ესპანეთში? ფაშისტ გენერლების უბრალო ჯანყი კანონიერი რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ საკმაო საბაბი იყო, რომ ფაშისტური, აგრესიული სახელმწიფოების მთელი ჯგუფი, ევროპის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოების წაყრუებით, ჩარეულიყო ესპანელი ხალხის საშინაო საქმეებში და იქ უამრავი იარაღი და მთელი რეგულარული კორპუსები გადაესროლა.

უკეთესი საქმეები არ ხდება შორეულ აღმოსავლეთშიც. მრავალმილიონიან ჩინელ ხალხს თავს დაესხა იაპონია და ახლა სისხლისაგან იცლება, იცავს რა თავის ტერიტორიასა და დამოუკიდებლობას. ფაშისტური ქვეყნების სამხედრო აგრესია აღვირახსნილია. ამჟამად ძნელია იმის თქმა რომელი სუსტი ქვეყანა დგას რიგში, საითკენ მიმართავს თავის გესლიან ნესტარს ომის გველი.

მაგრამ ჩვენ ყველანი მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია და წითელი არმია ფხიზლად უნდა ვიყოთ, ყური მახვილად გვეჭიროს მით უმეტეს, რომ ფაშისტური ბანაკის ყველაზე დაუდეგარი ვაჟბატონები სრულებით მიუკიბმოუკიბავად ჩვენსკენ იშვერენ ხელს, სხვები კი პირდაპირ ბაქიობენ და ომს გვიქადიან. ჩვენ ვიცით, რომ ეს ჯერჯერობით თავაშვებული ტაკი მასხარების ბაქი-ბუქი და თავხედური გამოსვლებია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რომელი ჭკუის კოლოფები დაიწყებენ ომს და რა დღეს. ვიცით მხოლოდ ერთი რამ, რომ აბისინიაშიც, ესპანეთშიც და ჩინეთის სივრცეებზეც ომი სწარმოებს უაღრესად თანამედროვე საშუალებებით და უაღრესად სასტიკი მეთოდებით. ვიყოთ ყოველთვის და ყველაფრისათვის მზად—აი ჩვენი მოვალეობა, აი ჩვენი ამოცანა, აი რისთვის არის საჭირო ბევრი, კარგად, ბოლშევიკურად ვიმუშაოთ.

ამხანაგებო! ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია—ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი—მუდამ და სავსებით მზად იქნება საბრძოლველად. მტრებმა საზღვარგარეთ იციან, რომ ჩვენი წითელი არმია უკვე ამჟამად როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს, ორგანიზებულია და არც ცუდად არის განსწავლული, შეჭურვილი და შეიარაღებული. მტრებმა იციან, რომ ახლა შიშველი ხელით ჩვენთან ვერაფერს გახდებიან. მათ იციან, რომ იმისათვის, რათა წაგვართვან ჩვენი დიადი მიღწევები, ჩვენი მონაპოვარნი, მათ დიდი და შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდებათ. მათ იციან, რომ ჩვენი მუშათა კლასი, ჩვენი კოლმეურნე გლეხობა თავიანთი არმიით ახლა წარმოადგენენ ურყევ ძალას, რომელსაც ისინი შეხვდებიან და რომელსაც შეიძლება ზედ შეამტვრიონ თავისი შუბლი. ყოველივე ეს ჩვენმა არაკეთილსმყოფელებმა კარგად იციან და ამიტომაც ჯერჯერობით ემზადებიან.

დეე ემზადონ, ჩვენც ვემზადებით, თუმცა მუდამ მზადა ვართ. (მქუხარე ტაში). მაინც, ამხანაგებო, ვაწარმოოთ უფრო შეუპოვარი მუშაობა, ვიდრე ოდესმე იმისათვის, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები იყოს იმ დანიშნულების სიმაღლეზე, რომელიც ისტორიამ მათ განუკუთვნა. ჩვენ უფრო მეტად ვიმუშავებთ იმაზე, რათა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობა, რათა ფაბრიკები და ქარხნები, ჩვენი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები კიდევ უფრო ორგანიზებული და კიდევ უფრო მძლავრი იყვნენ.

ამხანაგებო! ჩვენი მიღწევები და წარმატებები ჩვენი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია (ტაში). ჩვენმა პარტიამ დარაზმა მუშათა კლასი სოციალისტური გამარჯვებებისათვის. ჩვენმა პარტიამ დარაზმა გლეხობის მრავალმილიონიანი მასები კოლმეურნეობებად და მისი ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო წყობილებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. (ტაში). ჩვენმა ლენინ-სტალინის პარტიამ, პირადად დიდმა სტალინმა შექმნეს და ყოველთვის აძლიერებენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებას. ლენინ-სტალინის პარტია რაზმავს და გამარჯვებისაკენ მიუძღვება საბჭოთა კავშირის ხალხებს! (მქუხარე ტაში).

ერთსა და იმავე დროს ჩვენი პარტია უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ხალხის ყველა მტერთან, იგი ძირფესვიანად სთხრის მავნებელთა, გამცემელთა, სამშობლოსადმი მიცემული ფიცის გამტეხთა საზიზღარ ბუნაგებს.

კაპიტალისტური ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის გარემოცვა თავს იჩენს იმით, რომ ამ ქვეყნების დაზვერვათა აგენტები ყველაფერს აკეთებენ, რათა შემოიპარონ ჩვენი სახელმწიფოს წიაღში. ჩვენ ამას ერთი წუთითაც ვერ მოვითმენთ. ბოლშევიკური, საქმიანი სიფხიზლე მრავალჯერ უნდა ავამაღლოთ. მტრები უკლებლივ უნდა აღმოიფხვრან და ჩვენ აღმოვფხვრით მათ. არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ჩვენს რიგებში ადგილი არცერთ გამცემს და ჯაშუშს, არცერთს მოღალატეს და ხალხის სხვა მტრებს.

მთელი ჩვენი დიადი ხალხი თავის წითელ არმიასთან ერთად წარმოადგენს სოციალიზმის მძლავრ არმიას, რომლის სათავეში დგას ჩვენი სახელოვანი ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია.

ამ ჩვენს მძლავრ სოციალისტურ არმიას უპირისპირდება მთელი კაპიტალისტური მსოფლიო. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უფლება გვაქვს დავუშვათ ჩვენს რიგებში მტრის აგენტურა. ჩვენ ვიყავით, ვართ და ყოველთვის ვიქნებით კომუნიზმის დიადი საქმისათვის სოციალისტურ მებრძოლთა ერთიანი, მტკიცე კოლექტივი.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა ძლიერ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მეომრებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს!

გაუმარჯოს ორდენოსანი საბჭოთა ბელორუსიის სახელოვან მუშაკთა-კოლმეურნეებსა და კოლმეურნე-ქალებს, მუშებსა და მუშა-ქალებს!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს! (მქუხარე ტაში, „ვაშა" ძახილი, „ინტერნაციონალი").

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## სრულიად-საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, თავდაცვის, ქიმიური და საავიაციო მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოებისა (თავდაცვა-ავიაქიმის) ცენტრალური საბჭოს და ფიზიკური კულტურის და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტისა

### ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველს, კომკავშირელ ქალებს და კომკავშირელებს, თავდაცვა-ავიაქიმისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ყველა წევრს

**ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო!**

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქენი ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად აირჩევენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს.

ახალგაზრდა ადამიანთა მილიონები მივლენ ამ დღეს საარჩევნო ყუთებთან, რათა მოიხადონ თავიანთი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ვის მისცეს თავისი ხმა, ვის მიანდოს თავისი ინტერესების უზრუნველყოფა—ეს კითხვები იბადება თვითეული ახალგაზრდა ამომრჩევლის წინაშე.

მშრომელთა მოწინავე რაზმი — ბოლშევიკთა სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტია— არჩევნებში გამოდის უპარტიოებთან, პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა საზოგადოებებთან კავშირში. მაშასადამე, უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები როგორც კომუნისტები, ისე უპარტიოებიც, წარმოადგენენ ჩვენს საერთო კანდიდატებს.

სრულიად-საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტი მოუწოდებენ ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველს, ყველა კომკავშირელ - ქალს და კომკავშირელს, თავდაცვა- ავიაქიმის წევრებს, ფიზკულტურელებსა და ფიზკულტურელ ქალებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ამ კანდიდატებს — კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

რატომ უნდა მისცეს ერთსულოვნად თავისი ხმა ახალგაზრდობამ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს? რითი იმსახურებენ ეს კანდიდატები ახალგაზრდა ამომრჩევლების სრულ ნდობას?

ხმას აძლევენ რა კომუნისტთა მიერ უპარტიოებთან ერთად დასახელებულ კანდიდატებს, ახალგაზრდა ამომრჩევლები ხმას აძლევენ ბოლშევიკურ პარტიას, მის პოლიტიკას, რომელმაც მოუტანა მშრომელებს კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლება, შეუქმნა და უქმნის მთელს საბჭოთა ხალხს შეძლებულ, კულტურულ, ბედნიერ ცხოვრებას.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ოცი წლის წინათ დაამყარეს მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით, ბავშვობიდანვე არ გვაკლებს თავის მზრუნველობას. იგი იცავდა ჩვენს ბავშვობას სამოქალაქო ომის წლებში, გვაძლევდა ჩვენ პურს, როდესაც ნგრევის წლებში ჩვენს ქვეყანას იგი არ ჰყოფნიდა, გვაცმევდა და გვახურავდა ჩვენ, როდესაც ჯერ კიდევ არ გვყოფნიდა საქონელი, იგი იცავდა ჩვენს შრომას, როდესაც ჩვენ მოზარდები ვიყავით, და გვასწავლიდა თავის ხარჯზე. და ახლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა გახადა ძლიერი და მძლავრი, მან სამუდამოდ უზრუნველჰყო ახალგაზრდა თაობისათვის სამუშაო, დასვენება და სწავლა.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდობა სამუდამოდ განთავისუფლებულია ექსპლოატაციისაგან.

წარსულში, მეფის რუსეთში ყველა მუშათა ერთი მესამედი იწყებდა მუშაობას ფაბრიკებსა და ქარხნებში, რა წამს იგი თორმეტი წლისა გახდებოდა; მეორე ნაწილი მუშაობას იწყებდა თორმეტი-თოთხმეტი წლის ასაკში და მხოლოდ მუშათა ერთი მესამედი იწყებდა მუშაობას უფრო მოზრდილ ასაკში.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის უცნობია მომქანცველი შრომა მეფაბრიკეებისათვის, მემამულეებისა და კულაკებისათვის. საბჭოთა ხელისუფლება მზრუნველობით იცავს ახალგაზრდობის შრომას. მოზარდთათვის დაწესებულია შემცირებული სამუშაო დღე. ახალგაზრდები თავისი შრომისთვის გასამრჯელოს ღებულობენ მოზრდილებთან თანაბრად. ჩვენი ახალგაზრდობა სამუდამოდ განთავისუფლებულია უმუშევრობის საშინელებათაგან. „სილატაკე", „უმუშევრობა", „შავი დღე"—ეს სამუდამოდ გამქრალი ცნებებია ჩვენთვის.

სოციალისტური წყობილების გამარჯვების მოხებით საბჭოთა ქვეყნის ყველა ახალგაზრდა ვაჟი და ქალი, როგორც ქალაქში, ისე სოფლადაც, უზრუნველყოფილია სამუშაოთი. ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომია ყოველი კვალიფიციური სამუშაო, ყოველი სპეციალობა.

სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც მეფის წესწყობილების დროს ბნელი და დაბეჩავებული იყო, ამჟამად კულტურული და შეძლებული ცხოვრებით ცხოვრობს. საკოლმეურნეო წყობილებამ მისთვის შექმნა თავისუფალი და საამური შრომის ფართო შესაძლებლობა.

და თუ ახალგაზრდა კაცი პატიოსნად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური საზოგადოება მას აჯილდოვებს საყოველთაო პატივისცემით, საყოველთაო-სახალხო დიდებითა და პატივით.

ვინ უზრუნველჰყო ახალგაზრდობისათვის ეს ბედნიერი და საამური ცხოვრება? იგი უზრუნველჰყო ახალგაზრდობისათვის ლენინ-სტალინის პარტიამ.

აი რატომ მისცემენ სიხარულით ახალგაზრდა ამომრჩევლები თავის ხმებს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

განა არის მსოფლიოში სხვა ქვეყანა, სადაც მშრომელ ახალგაზრდობას ისე ფართოდ ჰქონდეს გახსნილი გზა ცოდნისა და კულტურისაკენ, როგორც სსრ კავშირში?

მეფის რუსეთში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ხვედრი იყო სიბნელესა და უმეცრებაში ცხოვრება. მისი უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი რჩებოდა. ცოტანი ახერხებდნენ დაწყებითი ან საეკლესიო—სამრევლო სკოლის დამთავრებას, ხოლო საშუალო და უმაღლესი განათლება მიუწვდომელი იყო მშრომელი ახალგაზრდობისათვის. ასეთივე მდგომარეობაა მშრომელი ახალგაზრდობის განათლების მხრივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა საყოველთაო სავალდებულო სწავლება. 30 მილიონი ბავშვი სწავლობს სსრ კავშირის სკოლებში. მილიონნახევარი ახალგაზრდა ვაჟი და ქალი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის წინაშე გახსნილია ყველა სკოლის, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების კარები. იმისათვის, რომ კულტურული და განათლებული კაცი გახდე ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა მხოლოდ გქონდეს სურვილი, გულმოდგინება და ცოდნისაკენ მისწრაფება.

ვინ მისცა ახალგაზრდობას ეს არსად არნახული შესაძლებლობა დაეუფლოს ცოდნას, შეიქმნას კულტურის ყველა განძი? იგი მისცა ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის პარტიამ.

აი რატომ მისცემენ ახალგაზრდა ამომრჩევლები თავის ხმებს ბოლშევიკების პარტიას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

როგორც მოსიყვარულე და მზრუნველი დედა, ისე უფრთხილდება საბჭოთა ხელისუფლება ახალგაზრდობის ჯანმრთელობას და ზრუნავს მის კულტურულ დასვენებაზე. სახელმწიფო ყოველწლიურად აძლევს მშრომელებს ხელფასიან შვებულებას. ახალგაზრდობისათვის გახსნილია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მას ემსახურებიან პარკები და კლუბები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, თეატრები და კინო. მილიონობით ახალგაზრდა ვაჟები და ქალები ვარჯიშობენ ფიზიკურ კულტურასა და სხვადასხვა სახის სპორტში. ახალგაზრდობისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა სტადიონები, წყლის სადგურები, ტურისტული ბაზები, ტირები, აეროკლუბები.

ვინ მისცა ახალგაზრდობას თავის ფიზიკურ და სულიერ ძალთა ყოველმხრივი განვითარების ეს შესაძლებლობა? ეს ახალგაზრდობას მისცა ლენინ-სტალინის პარტიამ, ეს მას მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ.

აი ამიტომ მისცემენ ახალგაზრდა ამომრჩევლები თავის ხმას ბოლშევიკთა პარტიას, რომელმაც ახალგაზრდობას მოუპოვა დასვენების, კულტურული ცხოვრების უფლება, ამიტომ მისცემენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

საბჭოთა ახალგაზრდობა იზრდება მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემაში, დამოუკიდებლად მისი ნაციონალური კუთვნილებისა. სიჭაბუკის წლებიდან ჩვენი ახალგაზრდობა — რუსები და უზბეკები, უკრაინელები და ყაზახები, ბელორუსები და ტაჯიკები, ქართველები და თურქმენები, სომხები და თათრები, გერმანელები და ყირგიზები, ბაშკირები და კარელები, ჩაჩნებ-ინგუშები და ოსები, ყაბარდოელ-ბალყარები და დაღისტნელები, ყალმუხები და მორდოველები, ბურიატ-მონღოლები და მარიელები — ამდიდრებენ თავის შეგნებას კაცობრიობის ყველაზე მოწინავე იდეებით, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებით. ამ უდიდესი იდეებით საბჭოთა ახალგაზრდობას აიარაღებს კომუნისტური პარტია.

აი ამიტომ არის საბჭოთა ახალგაზრდობა ბოლომდე ერთგული ლენინ-სტალინის პარტიისა, აი ამიტომ მისცემენ ახალგაზრდა ამომრჩევლები თავის ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ბოლშევიკთა პარტიას.

საბჭოთა ახალგაზრდა ვაჟები და ქალები იზრდებიან, როგორც თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონნი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას აქვს არსად არნახული პოლიტიკური უფლებანი. თავისი სრულწლოვანობის მომენტიდან იგი სარგებლობს უფლებით აირჩიოს და არჩეულ იქნას სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში. კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალგაზრდობას არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს ეს უფლებანი.

კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ქალები მოკლებული არიან ხმის უფლებას. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ჯარისკაცები და მატროსები კაპიტალისტთა კანონით ჩამოშორებული არიან სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისაგან. მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ, მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიამ უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანებისათვის, მათი სქესის, ეროვნების, რასისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის დამოუკიდებლად, უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში.

საბჭოთა ხალხი განსაკუთრებული ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა თავის ახალგაზრდობას. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის ცოტა როდია ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა შვილები და ქალიშვილები—მუშები და მუშა-ქალები, კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, წითელი არმიის მეომრები და მეთაურები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები.

ვინ მისცა საბჭოთა ახალგაზრდობას ეს უდიდესი პოლიტიკური უფლებანი? ეს უფლებანი ახალგაზრდობას მისცა ლენინ-სტალინის პარტიამ, ისინი მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ.

აი ამიტომ ახალგაზრდა ამომრჩევლები აღფრთოვანებით მისცემენ თავის ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ბოლშევიკთა პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა ახალგაზრდობის ყველა უფლება, მისი ცხოვრების ბედნიერება და სიხარული მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მძიმე და მკაცრ ბრძოლაში.

ამ უფლებებს შინაური და გარეშე მტრების ხელყოფისაგან ფხიზლად იცავენ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და ჩვენი მამაცი დამსჯელი ორგანოები. ისინი იცავენ ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებს, ჩვენი კოლმეურნეობების ნაყოფიერ მინდვრებს, ისინი იცავენ ჩვენს საამურ ცხოვრებას, ჩვენს მშვიდობიან შრომას მშვიდობიან მიწა-წყალზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა აფასებს პატივს იმსახუროს უძლეველი წითელი არმიის რიგებში, აფასებს პატივს დაეხმაროს დამსჯელ ორგანოებს, საბჭოთა დაზვერვის ორგანოებს მათს თავდადებულ მუშაობაში საბჭოთა მიწა-წყლის გასაწმენდად მტრის უწმინდურებისაგან, მავნებლებისა და ჯაშუშებისაგან.

ვინ შექმნა პროლეტარული დიქტატურის ეს მებრძოლი ორგანოები? მათი ორგანიზატორია კომუნისტური პარტია, ისინი შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ.

აი ამიტომ მისცემენ ახალგაზრდა ამომრჩევლები თავის ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ბოლშევიკთა პარტიას, რომელმაც შექმნა უძლეველი უახლესი ტექნიკით შეიარაღებული წითელი არმია და ფხიზელი დამსჯელი ორგანოები.

**ამხანაგო ახალგაზრდა ამომრჩევლებო!**

ღირსეულად მოვიხადოთ ჩვენი მოვალეობა ჩვენი დიდი დედის — სამშობლოს წინაშე.

**1937 წლის 12 დეკემბერს ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივალთ საარჩევნო ყუთებთან, შეთანხმებულად და ერთსულოვნად მივცემთ ხმას ბოლშევიკთა პარტიის მიერ უპარტიოებთან კავშირში წამოყენებულ კანდიდატებს!**

**გადავაქციოთ არჩევნების დღე— 1937 წლის 12 დეკემბერი—ლენინ-სტალინის ბოლშევიკური დროშის გარშემო საბჭოთა ახალგაზრდობის შემჭიდროვების დიად დღესასწაულად!**

**გაუმარჯოს კომუნიზმის დიად პარტიას — ბოლშევიკთა პარტიას, რომელმაც ჩვენ აღგვზარდა!**

**გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!**

**გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!**

**გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას!**

**სრულიად - საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.**

**სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო.**

**ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტი.**

# ფაშისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების სასაცილო მდგომარეობა

## ამხ. მაისკის გამოსვლა

### ლონდონის კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის სხდომა

**ლონდონი,** 7 დეკემბერი (საკ-დესი). [illegible]

... ეე დროს ითხოვს შემდგომ ახსნა-განმარტებას მისთვის საინტერესო ზოგიერთ პუნქტზე (კონტროლის, „ვოლონტერთა" გაყვანაში პროპორციულობისა და სხვ. შესახებ). მაგრამ ეს ოდნავადაც არ სცვლის მთელი პასუხის დადებით ხასიათს.

სულ სხვანაირად გამოიყურება გენერალ ფრანკოს პასუხი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში მეტად საეჭვო ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს. ეს პასუხი გახდა დღევანდელ სხდომაზე დისკუსიის ძირითად თემად.

გახსნა რა სხდომა, ლორდ პლიმუტმა განაცხადა, რომ ორივე პასუხი უნდა აღვიაროთ დამაკმაყოფილებლად, და რომ ამასთან დაკავშირებით კომიტეტის მუშაობაში თითქოს „ახალი ერა" იქმნება. მართალია, პლიმუტი გაკვრით შეჩერდა გენერალ ფრანკოს „შენიშვნებზე" და გადაკვრით ჩამოაგდო სიტყვა მათ შესაძლებელ შედეგებზე.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ, აღნიშნა რა ესპანეთის მთავრობის პასუხის დადებითი ხასიათი, სამართლიანად გააკრიტიკა გენერალ ფრანკოს პასუხი, რომელიც გაოცებას იწვევს ბუნდოვანობითა და ორაზროვნობით.

შეეხო რა თვით პასუხის შინაარსს, ამხ. მაისკიმ აღნიშნა, რომ ფრანკოს სურს პლიმუტის წერილი, რომელიც მას გაეგზავნა, განიხილოს როგორც კომიტეტის მხრით მისი ოფიციალური ცნობის ფაქტი. ამხ. მაისკიმ სავსებით გადაჭრით აღნიშნა, რომ კომიტეტის აქციას ასეთ გაგებას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან და რომ პლიმუტის წერილს არავითარი ცვლილება არ შეაქვს გენერალ ფრანკოს, როგორც იმ მეამბოხის სტატუსში, რომელმაც იარაღი აღმართა ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად საჭიროა მთელი შესაძლებელი სისწრაფით გაგრძელდეს მოსამზადებელი მუშაობა კომისიების გასაგზავნად ესპანეთში.

საფრანგეთის წარმომადგენელმა კორბენმა ენერგიულად დაუჭირა მხარი ამხ. მაისკის მოთხოვნას და წინადადება შეიტანა მთელი ყურადღება აქციამათ მიექცეს კომისიების გაგზავნის საკითხს. იმავე თვალსაზრისს ანვითარებდნენ შვეციის წარმომადგენელი პალმშტერნი და ქვეკომისიის ზოგიერთი სხვა წევრი.

გერმანიის წარმომადგენელი რიბენტროპი მეტად აბნეულ და ნაკლებად გასაგებ სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჯერჯერობით კომისიების გაგზავნა არ არის საჭირო და რომ ლონდონიდან მათ გამგზავრებამდე აუცილებელია გადაიჭრას ყველა და ყოველგვარი საკითხი, დაკავშირებული „ვოლონტერების" ევაკუაციასთან (კონტროლი, მეომარი მხარის უფლებანი, „პოლიტიკურ აგიტატორთა" გადასახლება ესპანეთიდან ა. შ.).

იტალიის წარმომადგენელმა გრანდიმ, რა თქმა უნდა, სავსებით დაუჭირა მხარი თავის გერმანელ კოლეგას.

დისკუსიის შედეგად გამონახულ იქნა „კომპრომისი": გადაწყდა იმუშაონ კომისიების მოსამზადებლად და ყველა სხვა საკითხის გადასაჭრელად პარალელურად და ჯერჯერობით წინასწარ არ განსაზღვრონ ესპანეთში კომისიების გამგზავრების მომენტი.

დასასრულ გაიმართა აზრთა წინასწარი გაცვლა-გამოცვლა კომისიების შემადგენლობის საკითხზე, რამაც ცხადჰყო,—როგორც ეს მოსალოდნელი იყო,—სერიოზული უთანხმოება ქვეკომისიის წევრებს შორის.

### ჩაურევლობის ქვეკომისიის მეორე სხდომა

**ლონდონი,** 7 დეკემბერი (საკ-დესი). დღეს საღამოს შესვენების შემდეგ გაიმართა ჩაურევლობის ქვეკომისიის მეორე სხდომა. ქვეკომისიამ განიხილა და მოიწონა, ზოგიერთი შესწორებით, ესპანეთიდან „მოხალისეთა" გამოწვევის საერთო სქემა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 დეკემბრისათვის. ამ სხდომაზე ყოველმხრივ იქნება განხილული „მოხალისეთა" უკან გამოწვევის გეგმა, აგრეთვე განხილულ იქნება გენერალ ფრანკოსათვის მეომარი მხარის უფლებათა მინიჭების საკითხი.

# ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

### აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

უესკის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარების ენერგიული იერიშის შედეგად 7 დეკემბერს წაყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა. სხვა სექტორებში — თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლაა.

დანარჩენ ფრონტებზე საარტილერიო დუელია.

### ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა მოახდინეს რეიდი პალმა დე მაიორკაზე იმ მიზნით, რომ ყუმბარები დაეშინათ საჰაერო და საზღვაო ბაზებისათვის, რომლებიც მეამბოხეებმა მოაწყეს იტალიელთა დახმარებით. მეამბოხეთა ავიაგამანადგურებლები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რესპუბლიკელთა ავიაციისათვის მისი ამოცანების შესრულებაში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. მეამბოხეებმა დაჰკარგეს სამი თვითმფრინავი, რესპუბლიკელთა ავიაციამ კი—ერთი თვითმფრინავი. დასახულ ობიექტებს რესპუბლიკელებმა მარჯვედ დაუშინეს ყუმბარები.

7 დეკემბერს მეამბოხეთა ორმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა რეუსსა და კამბრილიოს (ტარაგონის პროვინცია), სადაც გადმოჰყარეს 30 ყუმბარა, ბომბარდირებით მატერიალური ზარალი განიცადეს ამ დასახლებულმა პუნქტებმა. იმავე დღეს მეამბოხეთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა ბარსელონას. მოკლულია 50-მდე კაცი და დაჭრილია 100.

# საომარი მოქმედება ჩინეთში

### ცენტრალურ ჩინეთში

**ხანკოუ,** 8 დეკემბერი (საკდესი). ჩინელთა სიანში თავმოყრილმა ძალებმა, რომელთაც კონტრშეტევა დაიწყეს ფრონტის მარჯვენა ფლანგზე, 3 დეკემბერს დაიბრუნეს ჩანსინი. გაზეთ „უხანჟიბაოს" კორესპონდენტი იუწყება, რომ, როდესაც ჩინეთის არმია შევიდა ქალაქში, მთელი მოსახლეობა გამოვიდა ქუჩებში და მხურვალედ მიესალმა მას. ჩინეთის არმია წინ მიიწევს ხუჯოუსაკენ. მას ეხმარება ადგილობრივი მოსახლეობიდან შემდგარი დიდი პარტიზანული რაზმი, რომელიც 3 დეკემბერს თავს დაესხა ქალაქ ხუჯოუს აღმოსავლეთ ნაწილს. ქალაქ ხუჯოუში, ჩინელთა ცნობებით, 7 ათასი იაპონელი ჯარისკაცია. დღეს მიიღეს ცნობა, რომ გუანდეს რაიონში გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. იაპონელთა ჯარები ჩინელების მიერ სიანის აღების შემდეგ ჩანსინისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. გუანდე რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ეს-ეს არის მიიღეს ჩინელთა ოფიციალური ცნობები, 5 დეკემბერს გუანდე კვლავ ჩინელებმა დაიკავეს. ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა.

დიდ აქტიურობას ანვითარებენ პარტიზანული რაზმები ტაიხუს ტბის სამხრეთით. ჩინური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი გაიჟლიტა ტაიხუს სამხრეთ ნაპირის პუნქტზე პარტიზანელთა თავდასხმის დროს. პარტიზანებმა გაანადგურეს 20-ზე მეტი სამხედრო საბარგული და 40-მდე მოტორიანი კატარღა. პირველ დეკემბერს იაპონელთა ოთხი ტანკი გადავარდა უზარმაზარ ორმოში, რომელიც ღამით ამოთხარეს მთავარ გზატკეცილზე. ტაიხუს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე პარტიზანები ღამით თავს დაესხნენ იაპონელთა რაზმს, რომელიც ღამის გასათევად გაჩერდა მინდორში, და 300 ჯარისკაციდან 100-მდე მოჰკლეს.

5 დეკემბერს ნანკინის საჰაერო ბომბარდირების დროს მოკლულია 14 კაცი და დაჭრილია 20. დანგრეულია 50 სახლი.

### სამხრეთ ჩინეთში

**ხანკოუ,** 8 დეკემბერი (საკდესი). ამ დღეებში ათასამდე იაპონელი მეზღვაური გადასხეს ტანხუადაოს კუნძულზე (გუანდუნის პროვინციაში), სადაც იაპონელები ცდილობენააგონ თვითმფრინავების დასაშვები მოედანი. ამავე დროს იაპონელთა რვა გემი, მათ რიცხვში ოთხი დიდი, გაჩერდა სანშაოს კუნძულთან და გადმოსხა დესანტი სურსათის რეკვიზიციისათვის. კუნძულის მოსახლეობამ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია დესანტს, და სახელდახელოდ შეიარაღებული მშვიდობიანი მცხოვრებლები გაჰფანტეს მხოლოდ ტყვიამფრქვევების სროლით, რაც ერთ საათს გრძელდებოდა. იაპონიის ჯარმა წაიღო მთელი სურსათი ნაპირის ახლოს მდებარე სოფლებიდან.

# თამბაქოს დამზადება

ოქტომბერსა და ნოემბერში საქართველოში, აფხაზეთისა და აჭარის ჩათვლით, უნდა დამზადებულიყო 2.500 ტონა თამბაქო, ფაქტიურად დამზადებულ იქნა 2.659 ტონა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება სამარცხვინოდ ჩამორჩა. სიღნაღის რაიონში ოქტომბერსა და ნოემბერში ნაცვლად 260 ტონისა დაამზადეს მხოლოდ 133,8 ტონა თამბაქო გეგმის 51,5 პროცენტი, ჩხოროწყუში—18-ის ნაცვლად 7,2 ტონა (40 პროც.), წალენჯიხაში 12 ტონის ნაცვლად—8,9 (74,2 პროც.), ხოლო ზუგდიდში—გეგმის შესრულებას დააკლეს 4,6 ტონა თამბაქო და ლაგოდეხში 94 ტონა.

„საქთამბაქონედლეულის" 5 დეკემბრის ცნობების მიხედვით თამბაქოს დამზადებაში ჩამორჩენა ბევრგან ისევ გრძელდება. იმ დროს, როცა წალენჯიხის რაიონს მხოლოდ ოქტომბერსა და ნოემბერში უნდა ჩაებარებინა დამზადების პუნქტისათვის 18 ტონა ნედლეული, ხოლო შემდეგ დეკემბრის გეგმის შესრულებას შესდგომოდა, მას 6 დეკემბრისათვის სეზონის დაწყებიდან მხოლოდ 12,7 ტონა თამბაქო ჰქონდა ჩაბარებული. სიღნაღის რაიონსაც 260 ტონის ნაცვლად — 154,3 ტონა, ხოლო ლაგოდეხს 1 დეკემბრის შემდეგ თამბაქოს დახარისხება-ჩაბარების შესახებ ცნობებიც არ წარმოუდგენია.

მეთამბაქოობის რაიონების გადაუდებელი ამოცანაა—ამ სამარცხვინო ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსწორება.

# საქ. მხატვართა კავშირში

ამ დღეებში შესდგა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი. გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. რ. თავაძე,

პლენუმმა ერთხმად აღნიშნა ქართველ მხატვართა ნაყოფიერი მუშაობა და საერთოდ ქართული სახვითი ხელოვნების მიღწევები უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამის დამამტკიცებელია ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის".

პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: რ. თავაძე (თავმჯდომარე), მ. თოიძე (მოადგილე), ქ. გიორგაძე (პ.-მგ. მდივანი), ი. ნიკოლაძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, უ. ჯაფარიძე, ე. ახვლედიანი, რ. ამიროვი, თ. აბაკელია და დ. კეშელავა.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: ნ. კანდელაკი (თავმჯდომარე), ლ. ქიქოძე და კ. ხუციშვილი.



სოხუმის სუბტროპიკული ტექნიკუმის პრაქტიკანტი სტუდენტი ამხ. დვარსკაია ჰკრეფს მანდარინს ტექნიკუმის საცდელ ნაკვეთზე



თბილისის სავაჭრო ორგანიზაციები ემზადებიან საახალწლო ნაძვის-ხისათვის. **სურათზე:** მე-57 სკოლის მოწაფე ირა ივახოვა (წინ) და მე-78 სკოლის პიონერი მარინა მელიქსეტოვა ყიდულობენ „თოვლის ბაბუებს". (გამყიდველი რ. ჯახტანიძე). ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# ახალი მშენებლობანი ჯანმრთელობის ხაზით

საქართველოს ჯანსახკომის ცნობით 1938 წელს მშენებლობაზე დაბანდდება სულ 32.000.000 მანეთი.

1938 წელს დამთავრდება თბილისში — ქალაქის პირველი საავადმყოფოს განმანაწილებლის, ქალაქის თერაპევტიული განყოფილებისა და სარძეო სამზარეულოს მშენებლობა, სოხუმში — საფერშლო სკოლა და სამშობიარო სახლი. ბათუმში—ტროპიკული სადგური, კოფეინის ქარხანა და საფერშლო სკოლა.

გარდა ამისა, წელს დამთავრდება რაიონული საავადმყოფოების მშენებლობა: მახარაძეში, კასპში, ადიგენში, ოჩამჩირეში, გალში, წალენჯიხაში და ხაშურში, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში.

თბილისში გაგრძელდება სამედიცინო ინსტიტუტის მშენებლობა საბურთალოზე.

1938 წელს თბილისში დაიწყება შემდეგი ახალი მშენებლობანი: სადეზინფექციო ბაზა (კუკიის სასაფლაოსთან), ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტი (საბურთალოზე), საბავშვო ბაგები 772 საწოლით, სამშობიარო სახლი 61 საწოლით. სოხუმში დაიწყება 30-საწოლიანი საბავშვო საავადმყოფოს და საბავშვო ბაგის მშენებლობა.

გარდა ამისა, ახალი სამკურნალო პუნქტების მშენებლობას შეუდგებიან ბოგდანოვკის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ხულოს და სტალინირის რაიონებში და ახალი საავადმყოფოს მშენებლობას ამბროლაურში.

# გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

აგარის ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის შაქრის ქარხანამ ჭარხლის გადამუშავების ნოემბრის გეგმა 106,6 პროცენტით შეასრულა. გეგმით უნდა გადამუშავებულიყო 240 ათასი ცენტნერი ჭარხალი, ფაქტიურად გადამუშავდა 255.904 ცენტნერი.

ამავე თვეში ქარხანას გეგმით უნდა გამოეშვა 32.800 ცენტნერი შაქარი, ფაქტიურად გამოუშვა 37.622 ცენტნერი—გეგმა შესრულებულია 108,3 პროცენტით.

ქარხანა ჩაბმულია სტახანოვური რეკორდების სტალინურ დეკადაში. 6 დეკემბერს ქარხანამ გადაამუშავა 10.628 ცენტნერი ჭარხალი— გეგმის 133 პროცენტი. ამავე დღეს გამოუშვა 1319 ცენტნ. შაქარი—გეგმა შესრულებულია 114 პროც.

7 დეკემბერს გადამუშავდა 9555 ცენტნ. ჭარხალი—გამოშვებულ იქნა 1649 ცენტნერი შაქარი, რაც გეგმით გათვალისწინებულ 140 პროცენტს შეადგენს.

# „ვოლოჩაევკის დღეები"

ორდენოსანმა რეჟისორებმა, „ჩაპაევის" ავტორებმა, ძმებმა ს. და გ. ვასილიევებმა დაამთავრეს შესანიშნავი ფილმი „ვოლოჩაევკის დღეები".

— კინოსურათი „ვოლოჩაევკის დღეები", — განაცხადეს მათ,— ჩვენი წლინახევრის მუშაობის შედეგია.

ჩვენი მუშაობა დაიწყო ისტორიული ამბების ადგილზე გამგზავრებით. ამ ნამდვილად ხალხური ომის მონაწილეებთან — ძველ პარტიზანებთან, სახალხო - რევოლუციური არმიის მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრებიდან და საუბრებიდან ჩვენ დიდძალი მასალა დავაგროვეთ.

სცენარს საფუძვლად უდევს ნამდვილი ისტორიული ამბები; ცალკე ფაქტები ამოღებულია ამ ამბების მონაწილეთა ბიოგრაფიებიდან. სურათის ზამთრის სცენების გადაღება დაიწყო 1937 წლის იანვარში. ასეთი გადაღება ამ მასშტაბით საბჭოთა კინემატოგრაფიის მიერ პირველად სწარმოებდა. გადაღება ხდებოდა 30-გრადუსიან ყინვაში იუპიტერების სინათლეზე. აპარატურა იყინებოდა, მუშამბა სკდებოდა, მაგრამ მუშაობა ერთი წუთით არ შეწყვეტილა.

ბევრი გადახდათ მსახიობებს. მასობრივი სცენების მონაწილეებს ხშირად უხდებოდათ ტანსაცმელის გახდა და მოქმედების მიხედვით უზედასამოსოდ სირბილი ყინვაში.

წითელარმიელები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბატალურ სცენებში, წელამდე თოვლში ეფლობოდნენ.

რაც შეეხება მთავარი როლების შემსრულებლებს, განსაკუთრებით რთული ამოცანა იყო დასმული ლ. სვერდლინის წინაშე. ის ფილმში ასრულებს იაპონელი ინტერვენტის უსიუიმას როლს. საჭირო იყო უცხო ადამიანის სახის შექმნა ყველა მისი დამახასიათებელი გარეგნული და ფსიქოლოგიური ნიშნებით. ლ. სვერდლინი, რომელმაც როლზე მუშაობის დაწყებამდე არ იცოდა არცერთი უცხო ენა, სურათში ლაპარაკობს ინგლისურადაც და იაპონურადაც.

მეტად რთულია აგრეთვე ფილმის მთავარი მომქმედი პირის ანდრეის სახე. ეს არ არის გმირი ამ სიტყვის ჩვეულებრივი თეატრალური გაგებით. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა რიგითი ბოლშევიკი, რომელიც პარტიის გადაწყვეტილებით დიდი მოძრაობის ხელმძღვანელად ხდება. ნ. დოროხინის თამაში, ჩვენ ვფიქრობთ, ჰქმნის ანდრეის შინაგანი ძალისა და დამაჯერებლობის შთაბეჭდილებას.

ფილმი „ვოლოჩაევკის დღეები" ამ დღეებში გამოვა ეკრანებზე.

## სასამართლო

# ქალის მოტაცება

თბილისის რაიონის სოფელ წილკანის მემინდვრეობის საცდელ სადგურში მუშაობდა სონა ჩილინდრიშვილი. მას უქებდნენ მარჯვენას და ხშირად ხატავდნენ კედლის გაზეთში. ერთ საღამოს, როცა სონა თავის მეზობელ ქალებთან ერთად შინ მიდიოდა, საცდელი სადგურის ეფეროსი მუშა იასონ ზეგოშვილი გზაზე გადაუდგა, მიესალმა და დაუწყო ლაპარაკი.

— ჯერ არ ვთხოვდები, იასონ, თავი დამანებე! — უთხრა ქალმა და მოსცილდა მოძალადე საქმროს. აენთო იასონი და თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— თუ ხებით არ მომყვები, ძალა აღმართსა ხნავს!

ამის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა, და იასონ ზეგოშვილმა თავის ამხანაგებს ჩამოუარა.

— მიშველეთ, ბიჭებო, თქვენი ძმობა ახლა მჭირდება, სონა უნდა მოვიტაცო და დამეხმარეთ.

არჩილ ციხელაშვილმა და შაქრო საღირაშვილმა დახმარება აღუთქვეს იასონს და შეიარაღდნენ სანადირო თოფებით. იმავე საღამოს ბუჩქნარში ჩასაფრებული სამი „რაინდი" ელოდებოდა, როდის გაივლიდა სონა.

უკვე მოსაღამოვდა. შორიდან მოისმა ქალების სიმღერა. იასონმა სონას ხმა რომ გაიგონა, ამხანაგებს წასჩურჩულა:

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, ამ ბუჩქებიდან ფოცხვერებივით გადაეხტეთ, პირველი მე წავატან ქალს ხელს, შემდეგ თქვენც მომეშველეთ.

სონა მარტო არ იყო. მას, გარდა მეზობელ ქალებისა, დედაც ახლდა. ქალები ბუჩქებს რომ მიუახლოვდნენ, იასონმა დაიყვირა:

— სონა, ჩამოსცილდი ამხანაგებს! — ხოლო იასონის ძმაბიჭებმა თოფები აახაკუნეს. შეშინდნენ ქალები, წივილკივილით გაიქცნენ. ატირებული სონა დედას ჩაეხვია. „რაინდებმა" დაავლეს დედაშვილს ხელი და ტყისაკენ გააქანეს. მაგრამ სონას გული წაუვიდა და ძირს დაეცა. იასონმა გულწასულ სონას რომ დახედა, შეშინდა და ამხანაგებს უთხრა, — ვაცალოთ, მოსულიერდეს.

ქალი რომ გონს მოვიდა, ისე გაიპარა, რომ ლაპარაკში გართულ „რაინდებს" არც კი გაუგიათ. დედა კი გულამოსკვნილი ტიროდა.

— სად არის ქალი! — დაიღრიალა სასიძომ, მაგრამ სონა ამ დროს უკვე სახლში იყო და რძალს უამბობდა თავის თავგადასავალს. ეს ამბავი მილიციას შეატყობინეს.

ბრალდებულები ამ დღეებში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

კლ. გიაძე.

# „რობესპიერი"

## რომენ როლანი სწერს ახალ პიესას

ლენინგრადის სალიტერატურო გამომცემლობაში მიღებულია რომენ როლანის წერილი, რომელშიაც მწერალი იტყობინება, რომ იწყებს მუშაობას ახალ დრამაზე „რობესპიერი".

1938 წელს ლენინგრადის სალიტერატურო გამომცემლობა გამოსცემს რომენ როლანის მთელ რიგ ნაწარმოებებს, მათ შორის მის ახალ მონოგრაფიას ბეთჰოვენზე, რომლის ხელნაწერიც უკვე მიღებულია საბჭოთა კავშირში.



საქართველოს კურორტებზე დაიწყო საზამთრო სეზონი. საქ. პროფსაბჭოს ბორჯომის სანატორიუმში 500 მეტი ავადმყოფი ისვენებს. **სურათზე:** დამსვენებლები სანატორიუმის აივანზე. ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## ბიბლიოგრაფია

# ი. ჭავჭავაძის რჩეული ნაწერები სომხურ ენაზე

ახლახან გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწერების პირველი წიგნი სომხურ ენაზე. გარდა ილიას ოცდაოთხი რჩეული ლექსისა, კრებულში მოთავსებულია აგრეთვე პოემები: „აჩრდილი", „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" და „განდეგილი". თარგმანები შესრულებულია სხვადასხვა ავტორების მიერ. თითქმის ყველა თარგმანი კარგად არის გამართული და საერთოდ დაცულია ი. ჭავჭავაძის მშვენიერი ნაწერების, როგორც შინაარსი, ისე სტილი. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, დართული აქვს ილიას სურათი, და რედაქტორის—პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის წინასიტყვაობა, ილიას მოკლე ბიოგრაფია, ვარიანტები, კომენტარიები და სხვ.

მოკლე ხანში დასაბეჭდად გადაეცემა აგრეთვე ილიას რჩეული ნაწერების სომხური თარგმანების მეორე წიგნი, რომელიც შეიცავს ი. ჭავჭავაძის პროზას. ამრიგად, მალე სომეხ მკითხველს საშუალება მიეცემა მთლიანად გაეცნოს უდიდესი ქართველი კლასიკოსის — ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ საქ. სახელგამმა გადადგა ნაბიჯი ქართველი კლასიკოსის სომხურ ენაზე გამოსაცემად.

სარეცენზიო წიგნი საუკეთესო საჩუქარს წარმოადგენს სომეხი მკითხველისათვის.

სურენ ავჩიანი

# მწერალთა კავშირში

10 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში გაგრძელდება დისკუსია ა. მაშაშვილის პოემა „ინგურზე".

შესვლა თავისუფალია.

# შემთხვევები

— **არტელის აბრით,** მილიციის მეოთხე განყოფილებამ აღმოაჩინა ჯგუფი სპეკულანტებისა, რომელნიც ახალ დახურულ ბაზარში არტელ „საქინმრეწვის" და „ჩვენი შრომის" სავაჭრო წერტებში იყვნენ მოკალათებულნი.

„საქინმრეწვის" № 13 წერტის გამგე გ. სარქისიანი და გამყიდველი ხუდოშიანი და არტელ „ჩვენი შრომის" წერტის გამგე ფ. ბალანჩივაძე და გამყიდველი ო. მახველოვი სისტემატურად ეწეოდნენ ტომრებით და ლურსმნით სპეკულაციას.

ყველა სპეკულანტი დაპატიმრებულია. გამოძიება დამთავრებულია და მათი საქმე მალე გადაეცემა სახალხო სასამართლოს.

— **გაუფრთხილებელი სვლა.** 7 დეკემბერს დილით „კავსტროიპუტის" ავტომანქანა №0—19, რომელსაც მართავდა შოფერი ა. დ. მამუკაშვილი, ჩელუსკინელთა მოედანზე დაეჯახა მოქ. თ. პ. ბაბუნაშვილს (კამოს ქ. № 55). ბაბუნაშვილი საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი პასუხისგებაში მისცეს.

— **უბედური შემთხვევა.** 8 დეკემბერს დილით ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო აფეთქდა ბენზინი. ცეცხლი მოედო კოლმეურნე დანელიას. დანელია სერიოზულად დაშავდა და მალე გარდაიცვალა.

სწარმოებს სასწრაფო გამოძიება.

# პარტკალენდარი

პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ალექსი კონსტანტინეს-ძე მუშკუდიანს და დიმიტრი ანდრონიკას-ძე კაფაროვს 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ალასაროვთან.

**სარედაქციო კოლეგია.**


| დღეს სახკინმრეწვის თეატრებში | | |
|---|---|---|
| | ოქტომბერი, პლეხანოვის გამზ. № 135 | ხმ. ფილმი ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მერვე ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს. დასაწყ. 6-30 |
| | რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 | |
| | დამკვრელი, პლეხანოვის გამზ. № 125 | ხმოვანი ფილმი **მაქსიმეს სიყრმე** დასაწყ. 6-30 |
| | კომკავშირელი, პლეხანოვის გამზ. № 91 | ხმ. ფილმი **მაქსიმეს დაბრუნება** დასაწყ. 6-30 |
| | სპარტაკი, რუსთაველის გამზ. № 23 | ხმ. ფილმი **ბალტიკის დეპუტატი** დასაწ. 6-30; დილისით: **როგორ მისცემს ხმას ამომრჩეველი** |
| | 26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი | ხმოვანი ფილმი **ჩაპაევი** დასაწყ. 6-30 |
| | არხენა, კომუნალური ქ. № 9 | ხმოვანი ფილმი **მაქსიმეს დაბრუნება** დასაწყისი 6-30 |
| | ახალი ამბები | **ხმოვანი ჟურნალები № 53, 54** |

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 10/XII | მუდმ. ადგ. ტალ. № 42 **ქეთო და კოტე** |
| 11/XII | მუდმ. ადგ. ტალ. № 43 **რიგოლეტო** |
| 12/XII | მუდმ. ადგ. ტალონი № 39 **კარმენ** |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

**10 დეკემბრიდან გაიცემა დილის წარმოდგენების მუდმივი ტალონები**

სალარო ღიაა დილის 12—3 საათ. და საღამოს 5—8 საათ. 50

**განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი კურსები ხსნის ახალ ჯგუფს.**

პირობების გაგება ორჯონიკიძის ქ. № 49, მე-26 სკოლა, მეორე სართული. 1747

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა**

გამოვიდა შემდეგი წიგნები:

1. **სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა** ყველა ამომრჩევლებს, მუშებს, მუშა-ქალებს გლეხებსა და გლეხ-ქალებს, წითელ არმიას, საბჭოთა ინტელიგენციას, ფასი 10 კაპ.

2. **ოცი წელი** ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისა სსრ კავშირში (თეზისები პროპაგანდისტებისათვის).

დაკვეთა და შეძენა შეიძლება პარტგამომცემლობის მაღაზიებში: თბილისი, რუსთაველის პრ. № 41, ა/კ. ფედერაციის მოედანი, № 1, ჟორესის ქ. № 22, ქუთაისის, ბათუმის და ჭიათურის მაღაზიებში. 51

**1937 წ. 25 დეკემბერს**

ქალ. ვოროშილოვგრადში (დონეცის ოლქი) შესდგება მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სესხის მოგებათა მეხუთე ტირაჟი

★

ტირაჟში გათამაშებული იქნება 1 მილიონი 60 ათასი მოგება თანხით 173 მილიონი 920 ათასი მანეთისა



საქ. შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

2—1 1308


**საქ. სსრ ჯანსახკომის ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის სამმართველოს „ფარმქიმმრეწვის" წლიური ბალანსის შენაერთი 1937 წლის 1-ლ იანვრისათვის.**

**აქტივი**

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 1.820.599 |
| 2 | ბრუნვაში მყოფი საშუალებანი | 665.412 |
| 3 | დაუმთავრებელი წარმოება | 64.501 |
| 4 | საქონელი (მზა ნაწარმი) | 364.064 |
| 5 | საქონ. გაგზავნ. მყიდველებზე სხვა ქალაქ. | 113.997 |
| 6 | ფულადი საშუალებანი | 122.583 |
| 7 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 304.812 |
| 8 | იომავალი საანგარიშო დროის ხარჯები | 39.233 |
| 9 | განყენებული საშუალებანი | 6.737 |
| | ბალანსი | 3.531.958 |

**პასივი**

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| 1 | ფონდები | 1.097.475 |
| 2 | ოეხერ ქები | 18.014 |
| 3 | გრძელვადიანი კრედიტები | 1.538.742 |
| 4 | მოკლევადიანი კრედიტები | 171.757 |
| 5 | კრედიტორები | 540.258 |
| 6 | საანგარიშო წლის დაგროვება | 167.712 |
| | ბალანსი | 3.531.958 |

**1936 წლის საოპერაციო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ზარალი სტიქიურ უბედურებისაგან | 7.997 | 1. საოპერაციო შემოსავალი | 202.707 |
| 2. კონსერვაციაქმნილ საწარმოს შენახვა | 21.431 | | |
| 3. შინასამეურნეო ანარიცხები | 5.567 | | |
| სულ ზარალი | 34.995 | | |
| წმინდა მოგება | 167.712 | | |
| ბალანსი | 202.707 | ბალანსი | 202.707 |

ბალანსი დამტკიცებულია სსრ ჯანსახკომის მიერ 1937 წლის 26 მარტს.

სამმართველოს უფროსი **მარტინოვი.** მთ. ბუხჰალტერი **წივწივაძე.** 1106

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—8919